№ 14
პარასკევი, 18 იანვარი 1902 წ.

1877–1902

ივერია

№ 14
პარასკევი, 18 იანვარი 1902 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ. მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

გამგეობა ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა, აუწყებს-რა გარდაცვალებას გამგეობის თავმჯდომარის

ა ნ ტ ო ნ ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ძ ი ს

ყორღანოვისას

სთხოვს ვისაც ჰსურს პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, მობრძანდნენ პანაშვიდზედ საზოგადოების სადგომში (პუშკინის ქუჩა) პარასკევს, 18 ამა იანვარს, ნაშუადღევის პირველ-საათზედ. (2—6.—2)

„ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

ი მ ა ვ ე პ რ ო გ რ ა მ ი თ, რ ო გ ო რ ც წ ი ნ ა დ

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.
გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:
ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (სასახლის ქ., თავად-აზნაურ. ქარვ.)
ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიას
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (ნიკოლოზ. ქ. ქადანთარის ქარვასლის პირ-და-პირ).
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი
კვირას, 20 იანვარს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა
ქეთო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით
დაკლებულის ფასებით
ც ნ ო ბ ი ლ ი პ ი ე ს ა

I
დამნაშავეა?
დრამა სამ მოქმედ. გადმოთარგ. ნიკიტინისა

II
კინტო
კომედია 3 მოქმედ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.
დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები დაკლებულია.
რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება დ. აწყურელის საბენეფისოდ „დასჯილი“ და „საგიჟეთში“.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან.

თანახმად 1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ორი ათას ხუთას სამოც-და-თხუთმეტის (2575) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უპყრავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგს შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადის ანდრონიკაშვილის მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (1—6.—1)

პატივი გვაქვს ვაცნობოთ ქუთაისის გუბერნიის ვაჭრებს,
რომ, თანახმად მმართველობის განკარგულებისა, ტფილისში ჩამოსვლა და ღამის გათევა ქარვასლაში უპასპორტოთ

სასტიკად აღკრძალულია

15 ამა იანვრიდგან უპასპორტოთ ქარვასლაში მომსვლელის მიღება არ შეიძლება.
(3—2) გარს. რატიანი, ი. მაისურაძე.

გ ა ი მ ა რ თ ა
გამოფენა მხატვ. გ. ი. გაბაშვილის სურათებისა და ეტუდებისა
სამხედრო-საისტორიო მუზეუმში.
ნახვა შეიძლება დილის 10-დგან 4 საათამდის. ფასი შესვლისა 20 კაპ., მოწაფეთა და ჯარის-კაცთათვის 10 კაპ.
(5—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მომავალის მაისის 19 და 20 დღეს იმართება ქ. ტფილისში საზოგადოების სასარგებლოდ საცალხო სეირნობა სამადლო ბაზრითურთ. გამგედ სეირნობისა და ბაზრობისა ბრძანდება კნ. ოლგა თადეოზის ასული ქავჭავაძისა, რომელსაც, როგორც მის თანაშემწეთა, ისე სხვა თანამგრძნობელ პირთაგან, უნდა გაეგზავნოს ყოველივე შემოწირულება. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება აგრეთვე თვითონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
(3—3)

გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ აცხადებს: რადგან 13 იანვარს დანიშნული არა-ჩვეულებრივი საგანგებო კრება გურიის ამხანაგობის შუამავალის წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, განმეორებითი დანიშნულია 20 იანვარს ამა წლისა, დილის ათ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში. კრება განიხილავს იმავე საგნებს, რაც პირველის კრებისთვის დანიშნული იყო და კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. წევრთ კერძო ცნობა არ გაეგზავნებათ.
ფირმის უფროსი ს. ჭეიშვილი.
(3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, $7—7^1/_2$ ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2—8$ ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მალალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, $1^1/_2—2$ ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მალალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 6—7 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:
გ. გ. მალალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.
საკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და ქლოროფორმი—მორიგებით.
ამბ-ღამობით ექიმის მორიგეობა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიათ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—21).

ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 22 იანვარს, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. კრება განიხილავს უპირატესად წარსულ გამოფენის საქმეებს.

ფელეტონი

კონსტანტინე ბატონიშვილი
(ისტორიული ამბავი)

VI
(დასასრული *)

თ-ი სოლომონ ლეონიძე იყო მაშინდელი დიდებანი მეფე სოლომონისა. თ. ლეონიძე წინააღმდეგი იყო რუსეთისა, არ მოსწონდა რუსთა შემოსვლა და ბატონობა საქართველოში. სოლომონ ლეონიძე აქეზებდა მეფეს დამოუკიდებლობა არ დაეთმო და არავისთვის ნება არ მიეცა მის საქმეში გარევისა. სოკოლოვმა კარგად იცოდა ეს ამბავი, მაგრამ რა უნდა ექნა. ძალაუნებურად უნდა მოეცადა, ვიდრე ლეონიძე არ მოვიდოდა. სოკოლოვი წინ და წინვე ჰგრძნობდა, რომ ლეონიძე მეფეს მისთვის სასურველს არას ურჩევდა. 7 აგვისტოს მოვიდა ლეონიძეც და გამოეცხადა მეფეს. მეფემ ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა და დაილა მეორე დღესვე თ. ზ. წერეთელსა და თ. ბეჟან ავალოვთან ერთად გამოცხადებულიყო სოკოლოვთან და ყოველივე ეამბა. მეორე დღეს სოკოლოვთან მივიდნენ თ. ზ. წერეთელი, თ. ბეჟან ავალოვი და თ. სოლომონ ლეონიძე, რომელმაც ზრდილობიანად, მაგრამ გადაჭრით უთხრა სოკოლოვს:

— კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება არასფრის გზით არ შეუძლიან მეფეს, რადგან ამით დიდს გაჭირვებაში ჩავარდება იმერეთის სამეფო. ჩემის აზრით, მეფე ვერ შეასრულებს თქვენს წინადადებას და თქვენის იმპერატორის თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

— რატომ? —განცვიფრებით იკითხა სოკოლოვმა.

— იმიტომ, რომ თქვენ მოსვლამდის მეფეს დადიანთან ომი ჰქონდა. ამ ომში, რასაკვირველია, გამარჯვებული მეფე დარჩა. ქვეშევრდომმა თავადებმა შეჰფიცეს ერთგულება; დღეს ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მეფე სოლომონის სახელი, როგორც მძლავრის მეფისა, ყველგან განთქმულია. რას იტყვიან, რომ გაიგონ, მეფემ კონსტანტინე ბატონიშვილი რუსეთის ხელმწიფის ბრძანებით განათავისუფლაო. ნუ-თუ მაშინვე არ გადავლენ ისევ დადიანის მხარეს და ხელ-ახლავ სისხლის ღვრა, ძმათა შორის ელეტა-ხოცვა არ ასტყდება?!. აი, რისა ეშინიან მეფეს. და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ამბავი ძლიერ საშიშია.

— მოითმინეთ, ბატონო! თუ რომ თქვენი მეფე კონსტანტინე ბატონიშვილს განთავისუფლებს, ამითი ჩვენის ხელმწიფის თხოვნას პატივსა სცემს, მის გულს მოიგებს; ჩვენი ხელმწიფე მუდამ მზად იქნება, დაეხმაროს თქვენს მეფეს გაჭირვების დროს. ამას გარდა, როდესაც გარეშე მტრებს ეცოდინებათ ჩვენი ამგვარი დამეგობრება—შიში მიეცემათ და ვეღარაფერსაც ველარ გაგიბედვენ; პირ-იქით ყველანი თქვენ მოგეკედლებიან.

— თუმცა თქვენი ბრძანება მეტად მჭევრმეტყველურია, მაგრამ მე მაინც უნდა მოგახსენოთ, მეფე თქვენთვის ომის გათავებამდის ვერ მოიცლის, მისგან მანამდის ნურაფერს პასუხს ნუ ელით; როცა დადიანთან ომი გათავდება, მეფე მშვიდობით და უვნებლად ქუთაისს დაბრუნდება, მაშინ შეუდგება კონსტანტინეს განთავისუფლების საქმეს. თუ გარემოებამ ნება მისცა, განათავისუფლებს, ან თვითონ იყოლიებს აქვე თავის ქვეყანაში და ან რუსეთს გამოჰგზავნის.

— მე წასვლა არ შემიძლიან, სანამ ბატონიშვილს განთავისუფლებულს თან არ წავიყვან.

— არა, თქვენ, უმჯობესია, ახლა წახვიდეთ ტფილისს. იქიდგან აცნობოთ თქვენს ხელმწიფეს ჩვენის მეფის პასუხი და, თუ შემდეგ კიდევ ისურვებს კონსტანტინეს განთავისუფლებას, მაშინ ჩვენ დაუყოვნებლივ ვეცდებით მისი თხოვნა შევასრულებინოთ მეფეს და კონსტანტინე განთავისუფლებული გამოვგზავნოთ ტფილისს.

ამას შემდეგ არ გაუვლია რამდენსამე ხანს, რომ მეფისგან გამოგზავნილი კაცი მოვიდა სოკოლოვთან და მოახსენა, მეფე აი, ეს-ეს არის ემზადება დადიანთან ომში წასასვლელად და თქვენ გთხოვთ, ეს ამბავი წაიღოთ და ტფილისს წაბრძანდეთო. იმ დღესვე სოლომოს მივიდა სოკოლოვი მეფესთან, მეფემ დიდის ბოდიშით გამოუცხადა, რომ იმპერატორის ალექსანდრე I-ის თხოვნას ვერ ვასრულებ, რადგან დადიანთან ომი მაქვს და ამგვარ წვრიმალ საქმეებისათვის ახლა არ შემიძლიანო.

სოკოლოვი გამოეთხოვა მეფეს და მოახსენა: მეფეო ჩემო! დიდი იმედი მაქვს, თუ ჩემმა ხელმწიფემ ამ საქმის შესრულება მევე მომანდო, მალე დამაკმაყოფილებთ და არავითარი დაბრკოლება ხელს არ შეგიშლითო".

„მეფე იმის ასრულებას, არამც თუ დამპირდა, არამედ შემომფიცა კიდეცაო", ამბობს სოკოლოვი თავისს ნაწერებში*).

VII

რამდენისამე დღის შემდეგ, მეფის ბრძანებით, თ. ზ. წერეთელი ასის კაცით გადაჰყვა სოკოლოვს ქართლში და მიაცილა გორის ციხემდის.

სოკოლოვის მოსვლის აზრი, როგორც ვხედავთ, ვერ დაგვირგვინდა. მეფემ ალექსანდრე იმპერატორის თხოვნა უარ-ჰყო და კონსტანტინე ისევ სატუსაღოში დარჩა.

სიგელის პასუხად მეფე სწერდა იმპერატორს: „ძლიერ ვწუხვარ, რომ ჯერ-ჯერობით ვერ ვასრულებ თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის თხოვნას. კონსტანტინეს განთავისუფლებით, როგორც ჩემს სამეფოს, ისე პირადად მე, დიდი ზარალი მოგვეცემა; ამისათვის ჯერ-ჯერობით მისი განთავისუფლება ყოვლად შეუძლებელია, რადგან უშვილო ვარ. ვფიქრობ, თუ შვილი არ მომეცა, კონსტანტინე ვიშვილო და სამეფო იმას გადავსცე, თუ შვილი მეყოლა, მაშინ-კი მისი განთავისუფლება არაფრის გზით არ იქნება".

1802 წელს კნორინგმა აცნობა კონსტანტინეს დედას, ქვრივს ანნას, რომ საცხოვრებლად პეტერბურგიდგან ტფილისს ჩამოსულიყო, რადგან მისის შვილის განთავისუფლების შესახებ ყოველგვარი მიწერ-მოწერა მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს აქვს გადაცემულიო. ქვრივი ანნა ამის შემდეგ ცხოვრებდა ქ. ტფილისში და იღებდა იმავე ჯამაგირს, რასაც პეტერბურგში აძლევდნენ.

თ. ციციშვილმა ძლიერ მოინდომა კონსტანტინეს განთავისუფლება. მან მოიწვია თ. ზურაბ წერეთელი და სთხოვა დაეყოლიებინა მეფე სოლომონი და ერჩია მისთვის კონსტანტინეს განთავისუფლება.

— დიდის სიამოვნებითაო,- დაჰპირდა მთავარ-მართებელს თ-დი ს. წერეთელი.

შემდეგ თ. ციციშვილმა გაგზავნა იმერეთს თავისის კანცელარიის მმართველი ბრონევსკი და სთხოვა მეფეს კონსტანტინე გამოეშვა ტფილისს დედასთან, ან მიეცა ნება ეცხოვრა ქუთაისში. ამასთანავე ისიც სთხოვა, რომ იულონიცა და ფარნაოზიც გამოეშვა ქართლს.

ფარნაოზისა და იულონის მასპინძლობა იაფად არ უჯდებოდა იმერეთის მეფეს. ეს იყო მიზეზი, რომ მეფე ურჩევდა ორივეს მიელოთ რუსეთის ქვეშევრდომობა და გადასულიყვნენ ქართლს, მაგრამ მეფის რჩევა სრულებით ამაო იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ კიდევ ოდესმე, ადრე თუ გვიან, დაიბრუნებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს. ამიტომ დიდის უარით გაისტუმრეს თ. ციციშვილის გამოგზავნილი ბრონევსკი...

კონსტანტინეს განთავისუფლების საქმემ მეფე ახლა უფრო დააფიქრა. მეფე სოლომონმა არ იცოდა, განთავისუფლებული ბატონიშვილი სად დარჩებოდა საცხოვრებლად, რუსეთს წავიდოდა, თუ ტფილისში იცხოვრებდა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მეფემ განთავისუფლების პირდაპირ უარი განუცხადა ბრონევსკის და გაისტუმრა. „უმჯობესია ჩემი სამეფო ჩემს მტრებს ჩავუგდო ხელში, ვიდრე კონსტანტინე სატუსაღოდგან გავათავისუფლოო", უთხრა მეფემ ბრონევსკის გამოთხოვების დროს. ბრონევსკის ეწყინა მეფის ამგვარი მკაცრი პასუხი და მოახსენა:

— მეფევ! ჩვენი ხელმწიფე მეორედ-კი ვეღარ გაპატიებთ მოტყუებას და ნება მომეცით გიახლოთ ტფილისში და ყოველივე დაწვრილებით ვაცნობო მათ უდიდებულესობასო. ახლა თითქოს შეფიქრიანდნენ მეფე და მისნი მრჩეველნი, ვაი თუ ამ უარის გამო საქმე ცუდად წავიდესო და იმ ღამესვე შეიკრიბნენ: სახლთ-ხუცესი ზ. წერეთელი, ქუთათელი—ისიც თ. წერეთელთაგანი, და სთხოვ-

*) იხ. „ივერია“ № 13.

*) თხზ. დუბროვინისა

*** მომავალ თებერვლის 24-ს სად. გომში მოხდება კრება გორის სასოფლო მეურნეობის სინდიკატის წევრთა. კრება განიხილავს წარსულის წლის ანგარიშს და ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვასა. ამავე კრებამ უნდა აირჩიოს დირექტორი-მმართველი.

*** ამ თვის 26, შაბათს, ბაქოს საზოგადოების კრების დარბაზში გამართულ იქნება ჩვეულებრივი საღამო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. საღამოზე მონაწილეობას მიიღებს სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების დირექტორი ნ. ს. კლენოვსკი ქართულის ხოროთი და ორკესტრითურთ, და ოპერის არტისტი კამიონსკი.

*** წარსულის წლის დეკემბრის 25-ს ხელმწიფე იმპერატორს ყოვლად უმოწყალესად უნებებია, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებზედ გავრცელებულ იქმნეს ის წესი თავად-აზნაურობის კერძო ხარჯთ-აღრიცხვათა და გარდასახადთა შედგენისა და დამტკიცებისა, რაც უკვე არსებობს იმ გუბერნიებში, სადაც საერობო დაწესებულება ჰმოქმედებს.

ამიტომაც ამ საქმის შესახებ ძველის წესების შესაცვლელად სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: ა) თავად-აზნაურობის კერძო ხარჯთ-აღრიცხვანი და გარდასახადნი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში უნდა შედგენილ და განწერილ იქმნენ და წარუდგინონ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებათ იმ წესით, როგორც ეს „საერობო გარდასახადთა წესდების მე-9 სტატიის I დამატების მე-6 მუხლში არის დადგენილი იმ გუბერნიებისათვის, სადაც საერობო დაწესებულება არის შემოღებული, და ბ) საერობო გარდასახადთა გამგე დაწესებულებათ ხსენებულს გუბერნიებში (ე. ი. ტფილისის და ქუთაისისაში) ხელი არა აქვთ იმ გუბერნიების თავად-აზნაურობათა კერძო გარდასახადებთან.

*** მიწათ-მოქმედების სამინისტროში არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს შავი ზღვის კავკასიის ნაპირების „გამოცოცხლებისა და განვითარების“ საქმე. საგანი, რომელიც უნდა განიხილოს ამ კომისიამ, არსებითად ეხება ქართველობის უმიწა-წყლო ელემენტებს, რომელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება, ნამეტურ ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომაც სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენმა მოღვაწეებმა იზრუნონ და სთხოვონ სამინისტროს, რომ ხსენებულს კომისიაში ჩვენის ქვეყნის მკვიდრთაგან რამდენიმე მცოდნე კაცი მიიწვიონ სათათბიროდ მაინც...

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტმა მისწერა გუბერნატორებს, რომ ყოველთვის, როცა ისინი წარადგენენ სამინისტროში ქალაქების შუამდგომლობას ამა თუ იმ მესაკუთრის უძრავ ქონების იძულებით შესყიდვაზე, — თან დასძინონ ხოლმე შემდეგი ცნობები:

1) ყველა ის გარემოებანი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ იძულებით შესასყიდი ქონება აუცილებლად საჭიროა ქალაქისათვის; 2) ის საბუთები, რომელთა მიხედვით ხსენებულ უძრავ ქონებათა პატრონების მოთხოვნილებანი ასასრულებლად შეუძლებელად იქმნენ ცნობილნი; 3) აქვს თუ არა ქალაქს შეძლება დაუყოვნებლივ მისცეს საზღაური იძულებით შესასყიდ ქონების პატრონს; 4) რა ფასებია მიწებზე იმ უძრავის ქონების ახლო-მახლო, რომელიც უნდათ იძულებით შეისყიდონ; 5) თუ იძულებით შესასყიდია საეკკლესიო მიწები, გუბერნატორებმა უნდა შეატყობინონ სამეურნეო დეპარტამენტს ისიც, თუ რატომ ვერ მოახერხეს, რომ შესრულებულ ყოფილიყო მე-IX ტომის მე-447 სტ. და შემდეგნიც. გარდა ამისა, გუბერნატორებმა უნდა აცნობონ დეპარტამენტს თავისი საკუთარი აზრიც საქმის შესახებ და კერძოდ-კი იმაზე, თუ ნათხოვნი იძულებითი შესყიდვა შეადგენს უსათუოსა და აუცილებელს საზოგადოებრივს საჭიროებას, თუ არა?

*** მთავარმმართებელს გ. ს. გოლიცინს ასი მანეთი შეუწირავს წყალში დაღრჩობისაგან გადამრჩენ საზოგადოების ტფილისის განყოფილებისათვის.

*** რუსეთის რკინის გზების სამმართველოს წინადადება მიუცია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის, რომ 3000 ვერსზე უმეტეს მანძილზე მომატებული ტარიფი შემოღებულ იქმნეს ამ წლის აპრილის 18-დგან, როცა უნდა დაიწყონ რკინის გზაზე მატარებლების საზაფხულო მოძრაობა.

*** ქურდამირის რკინის გზის სადგურზე შეერჩეული გასაღებით გაუღიათ კასსა და მოუპარავთ 718 მანეთი. ქურდი ვინ იყო, ვერ გაუგიათ.

იმერეთის ამბები:

*** კავკასიის მთავარმმართებელმა გ. ს. გოლიცინმა ამ თვის 14-ს დაამტკიცა დაწვრილებით შედგენილი გეგმა ბათომის სანავთე ქალაქისა.

*** მისს იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს სერგეი მიხეილის ძეს უმაღლესად ნება დართეს მიიღოს წოდება ბათომის სამუსიკო წრის საპატიო თავმჯდომარისა.

*** ბათომში „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულს საღამოს წმ. ნინოობა დღეს, საუცხოვოდ ჩაუვლია. „ჩერნ. ვესტ.“ სიტყვით, დამსწრეთა სიამოვნებას ხელს უშლიდა მხოლოდ დარბაზის სივიწროვე.

ღამის ათს საათზედ იმდენს საზოგადოებას მოუყრია თავი, რომ დარბაზში ტევა არ ყოფილა. საკონცერტო ნაწილი ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა. აკაკის წაუკითხავს რამდენიმე თავისი ლექსი, ბ-ნს თუთბერიძეს უმღერია რომანსები. შარაშიძის ხოროს მწყობრად და საამოდ შეუსრულებია სხვა-და-სხვა მოტივები, აპოლონ წულაძეს დიდის იუმორით წაუკითხავს გურული სცენები. დიდი აღტაცება გამოუწვევია ბ-ნს ბარათაშვილს თავისის სასიამოვნო და სიმპატიური ხმით ნამღერების რომანსებით. რომანსების შემდეგ ბ-ნს ბარათაშვილს დაუკრავს თარი და ზედ არტისტულად დაუმღერებია ქართული ბაიათები.

კონცერტის შემდეგ დაუწყიათ ცეკვა. ლეკურსა და კინტოურს აღტაცებითა და ტაშით მიჰგებებია საზოგადოება. თავადის ვაჩნაძის ქალს, ქ-ნ ჩერქეზიშვილს, თ-დთ ვეზირიშვილსა და მაყაშვილს და ბ-ნს ჩიქოვანს თავიანთის შნოიანის ცეკვით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ საზოგადოებაზე. ცეკვამ შუაღამის შემდეგაც დიდ-ხანს გასტანა თურმე. ყველანი დიდად ნასიამოვნებნი დარჩენილან საღამოთი.

*** ამ თვის 7-ს დ. სოჭში დიდის ქარბუქის დროს მიწის ძვრა ყოფილა. სულ 4 ჯერ უგრძნიათ მიწის ძვრა. პირველი ძვრა ყოფილა საღამოს 5 ს., მეორე, უფრო სუსტი, $^1/_2$ საათის შემდეგ, მესამე, უფრო მძლავრი, ღამის $11^1/_2$ საათზე და მეოთხე. უფრო ძლიერი, დილის 4 საათზე, უბედურება არა მომხდარა (ჩერნ. ვესტ).

ბათომის მუშათა არტელის თავგადასავალი.

(წერილი ბათომიდგან)

ბათომი შეიერთა რუსეთმა 1878 წელს. ამ დღიდგან ამ ქალაქმა ფერი იცვალა აღებ-მიცემობით. გაკეთდა მრავალი ნავთის ქარხანა, გაიმართა სააგენტოები, კანტორები, გემების მისვლა-მოსვლა გახშირდა, ვაჭრობა გაძლიერდა და მამულის პატრონებმა მრავალის ქვისა და ხის შენობის კეთება დაიწყეს. ამიტომ აქ ბევრი სამუშაო აღმოჩნდა და ბათომს ყოველ მხრიდგან მოაწყდა მუშა ხალხი: ოსმალო, სპარსი, სომეხნი, რუსნი და მათ შორის ჩვენი ქართველობაც.

რადგან ნავთის ქარხნები, სააგენტოები, კანტორები და მასთან სხვა დიდი თვალსაჩინო წარმოება უცხოელ კაცთა ხელში იყო და არის, ამის გამო ყოველი მათი სამუშაო ოსმალთ, სომეხთ, რუსთ და სპარსელთ ჰქონდათ, ხოლო ჩვენს ქართველ მუშებს, თუნდა ნახევარ ფასადაც ემუშავნათ, მაინც სამუშაოს არ აძლევდნენ.

ქართველ მუშების ამ გვარმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ ჩვენსავე სამშობლოში იძულებული გაგვხადა, ბათომში მყოფ რამდენსამე ქართველს, რიცხვით 25 კაცს, რაიმე საშუალება მოგვენახა, რომ ჩვენც გვქონოდა სამუშაო ბათომში. ამ მიზეზით ჩვენ 25 კაცმა, რომელთა შორის მეც, ამისი დამწერი, ვიყავი, მოვილაპარაკეთ, ნორმალური წესდება შევიმუშავეთ და ვთხოვეთ მთავრობას მისი დამტკიცება.

ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა წესდება დაგვიმტკიცა „5“ სექტემბერს 1889 წელს ამ სახელ-წოდებით: „ბათომის მუშათა არტელი — „Батумская Артель Грузовщиковъ“.

ამ მუშათა არტელის აზრი იყო ბათომის ნავთ-სადგურში შემოსულ გემების დაცლადატვირთვა. არტელში მიიღებოდა, განურჩევლად სჯულისა და წოდებისა, ყოველი მსურველი მუშა. ამასთან ამ არტელს, როგორც მთავრობისაგან დამტკიცებულს და უფრო საიმედოს, უპირატესობა უნდა ჰქონოდა ბათომში სხვა კერძო მოიჯარადრეს წინაშე.

დამტკიცებული წესდება მივიღეთ, კრება დავნიშნეთ, გამგე და მისი თანაშემწე, სარევიზიო კომისია ავირჩიეთ, კანტორა დავიქირავეთ, ყოველი საჭირო იარაღი შრომისა გავიწყეთ, თანახმად წესდების § 14-სა, თითოეულმა წევრმა 50 მანეთი, ხოლო 25 წევრმა — 1250 მანეთი, § 59-ს თანახმად, სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებაში შევიტანეთ, რომ საქონლისა და სამუშაოს მომცემნი უზრუნველნი ყოფილიყვნენ და მუშაობა დავიწყეთ. ჩვენს არტელში, ქართველებს გარდა, ოსმალიც იყო, სპარსიც, სომეხიც და რუსიც შესაფერის ჯამაგირითა. ყველანი მადლიერნი იყვნენ ჩვენის არტელისა და მისის ანგარიშის სისწორისა.

25 კაცისაგან შემდგარს ჩვენს არტელს კიდევ მოემატა 23 კაცამდის. ამ რიგად არტელში ჩაეწერა 48 კაცი, ხოლო თანხა ყველა წევრთაგან შემოტანილი შესდგა 8,000 მანეთი. საქმე კარგად მიდიოდა. არტელს მეტ სახელად დაერქვა — „ქართველების არტელი“.

რადგან მუშაობა თან-და-თან გვემატებოდა და მოველოდით დიდის საქმეების აღებას და ხელის მოკიდებას, ამის გამო საქმეების მმართველად საჭირო იყო ნასწავლი კაცი გვყოლოდა და, თანახმად გამგის ბ-ნ სარდიონ ქუთათელაძის რჩევისა, მოვიწვიეთ ბ-ნი თომა ჩიკვაიძე, რომელიც ჩამოვიდა ბათომში და ჩვენს საქმეებს ხელი მოჰკიდა. ჯამაგირად 200 მანეთი დავუნიშნეთ თვეში. საუბედუროდ, ქუთათელაძე არტელისათვის გამოსადეგი არ შეიქნა; მან ვერ მიიზიდა აგენტების ყურადღება და ამიტომ თვითონაც ისურვა და ჩვენც 5 თვის შემდეგ გავანთავისუფლეთ თანამდებობის ასრულებისაგან.

შემდეგ ამისა მოვიწვიეთ აწ განსვენებული გ. წერეთელი. წერეთელმა სიხარულით მოგვაშურა, ჩვენი საქმეები გაიცნო, ჯამაგირი თვეში 125 მანეთი დავუნიშნეთ და თან ერთი „პაის“ წილიც. ამას შემდეგ მან მოჰკიდა არტელის საქმეებს ხელი. პირველად აიღო როტშილდის დიდი სამუშაო, შემდეგ სხვებიც და ამასთან გამოგვიცხადა, რომ წესდება არტელისა, რადგან არ არის კარგად შემდგარი, უნდა გამოვცვალოთ, უფრო სასარგებლო პირობანი უნდა იქმნეს შემოღებულიო და კიდეც ემზადებოდა წესდების შეცვლა-შესწორებას.

ამ დროს ბ-ნმა წერეთელმა, თვისის საკუთარ საქმეების გამო, არტელს თავი დაანება; მისს ადგილას მისი თანაშემწე ბ-ნი ნიკო ცომაია დავაყენეთ, რომელსაც თანაშემწეთ დავუნიშნეთ ბ-ნი მეძმარიაშვილი.

რადგან საქმეები ბევრი იყო და დიდი ანგარიში ეჭირებოდა, ყოველივე შემოსავალ-გასავალი არტელისა მოთხოულობდა მცოდნე მოანგარიშეს, მით უმეტეს რომ ყოველ დღე 200—300 მუშა მუშაობდა არტელისა, ანგარიშების წარმოება ბ-ნთ ცომაიას და მეძმარიაშვილს ჩაჰბარდა, ხოლო გ. წერეთელი არტელის მმართველად ითვლებოდა.

რაკი ბ. ცომაიამ და მეძმარიაშვილმა მიიღეს არტელის ანგარიშები, სხვა ნაირად დაატრიალეს საქმე: კრებაზედ გამოგვიცხადეს: „რად გვინდა გიორგი წერეთელი, რად ვაძლიოთ ტყუილად წელიწადში 1500 მანეთამდე, ჩვენვე შეგვიძლიან უიმისოდ საქმის წარმოებაო“. ამათ რჩევას წევრთა კრება დასთანხმდა, გვეგონა მართლაც აწარმოებდნენ საქმეს წერეთლის დაუხმარებლად და ამის გამო გიორგი წერეთელი დავითხოვეთ. მიიღო ცხრა თვის ანგარიში და დაგვანება თავი. წასვლის დროს ეს-კი დაგვიბარა: „ძმებო, იყავით თანხმობით და სიყვარულით ერთმანეთთან, იმეცადინეთ, სამუშაო გაქვთ, გემატებათ და ნუ წაახდენთ მაგ საქმესაო“.

გიორგი წერეთლის წასვლის შემდეგ, არ გასულა სამი-ოთხი თვე, არტელის საქმეები და ანგარიშები ბ-ნ ცომაიას და მეძმარიაშვილის ხელში აირ-დაირია.

როტშილდმა სამუშაო ჩამოართვა არტელს და სხვა, კერძო მოიჯარადრეს, გადასცა... ამ დროს არტელის კანტორიდგან 1000 მანეთი დაიკარგა, რაც შემდეგში ბ-ნ ნიკო ცომაიას შევავსებინეთ. ამ ორის შემთხვევის გამო არტელისაგან 10 წევრმა მოითხოვა თავისი ანგარიში და არტელიდგან გავიდნენ. ამ რიგად არტელში დარჩა 38 კაცი-წევრი, რომლის გამგეთაც ისევ, ძალა-უნებურად, ბ-ნი ნიკო ცომაია დავნიშნეთ.

ის იყო გამგეთ 1890 წლიდგან ვიდრე 1897 წლამდე. ამ შვიდის წლის განმავლობაში მან გაიტანა ჯამაგირი 4,000 მანეთამდე, ხოლო მის ხელში არტელის თანხა 8,000 მანეთი შემცირდა 1,500 მანეთამდე! თუმცა ამნაირი ზარალი იყო, მაგრამ არტელი მაინც არა ჰკარგავდა იმედს: წესდების შეცვლით, უფრო სასარგებლო პირობით, საქმეები ისევ გამოვიბრუნდებაო, — ვფიქრობდით და ყოველსავე ზარალს ვიტანდით. ამ დროს თან-და-თან გაგვიმრავლდნენ ჩვენის არტელის დაუძინარნი მტერნი, კერძო მოიჯარადრენი...

ბ-ნ ცომაიას ხელში ამოდენა ზარალმა და საქმეების უკან დახევამ წევრნი არტელისანი მოთმინებიდგან გამოიყვანა, კრება მოავხდინეთ, ბ-ნი ცომაია დავითხოვეთ და ყოველი ანგარიშები ჩამოვართვით. ვალად დაედვა არტელისა 250 მანეთი. ბ-ნი მეძმარიაშვილი-კი არტელმა ადრევე დაითხოვა. სარევიზიო კომისიამ დაინახა, რომ 1000 მანეთის ანგარიში არეულად იყო ნაჩვენები დავთრებში...

(დასასრული იქნება.)

კახელ მევენახეთა საზოგადოების წლიური კრება.

თელავი.

(დასასრული *)

9 იანვარს 10 საათზედ დაიწყო კრება.

გამგეობის თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ წრევანდელ ღვინის დაფასებით ყველანი არიან კმაყოფილნი, რომ წელსაც, როგორც წარსულ წელს, არიან უკმაყოფილონი მხ. თავ. მ. ჩოლოყაშვილი, კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავისა. ამ საგანზედ ატეხილ ბაასიდამ აღმოჩნდა, რომ დამფასებელს კომისიას წარსულის წლის გარდაწყვეტილებით ადგილობრივ უნდა დაეფასებინა ღვინოები, რომ რაკი დაფასება ადგილობრივ დაევალა კომისიას, დადებული ფასებიც იქავე უნდა შეეტყობინებინათ მემამულეთათვის, რომ დროზედ შეუტყობინებლობის გამო იმათ, ვისი ღვინოც გამგეობამ კიდეც წაიღებინა და ზოგისა კიდეც გაიყიდა, მოესპოთ საშუალება დამფასებელ კომისიის შეცდომა შეესწორებინათ გამგეობისათვის.

გამგეობის თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ დამფასებელი კომისია სხვა ნაირად ვერ მოიქცეოდა, რადგანაც ღვინის დაფასება არის წევრთა ღვინოების ერთი ერთმანეთთან დარსებით შედარება; ამას გარდა, დაფასების დროს მაზანდის

*) იხ. „ივერია“ № 13.

ვეს ბრონევსკის, დღეს დარჩი, ნუ დაბრუნდები ტყუილად და ხვალ ყველაფერს მოვახერხებთო. ბრონევსკიმ პატივი სცა მათს თხოვნას და დარჩა. მეორე დღეს ყველანი შეიკრიბნენ მეფის სასახლეში და ურჩიეს, რომ ახლა-კი აღარ შეიძლება უარით გასტუმრება და კონსტანტინე უსათუოდ უნდა გაანთავისუფლოო. მეფე თითქოს შეშინდა, დაფიქრდა, დიდ-ხანს იყო გაჩუმებული და ბოლოს გადასწყვიტა ბრონევსკის მოწვევა და მისის თხოვნის დაკმაყოფილება.

რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე I, იმედია, თავის სიტყვებს, რომლითაც თავისს სიგელში მომმართა, მტკიცედ და შეურყევლად შეასრულებს და განთავისუფლებულს ბატონიშვილს კონსტანტინეს არ მისცემს საქართველოში ცხოვრების ნებასაო, — ეუბნებოდა მეფე თ. ციციშვილისაგან გამოგზავნილ მოხელეს ბრონევსკის, რომელიც მეფის ოთახში იდგა და ისმენდა მეფის ლაპარაკს.

განთავისუფლებული კონსტანტინე მეფემ გაატანა სოლომონ ლეონიძეს ტფილისს თ. ციციანოვთან, რომელმაც რამდენისამე დღის შემდეგ ახალგაზრდა ბატონიშვილი პეტერბურგს გაგზავნა რუსეთის ხელმწიფესთან.

თ. ხუსკივაძე.

რუსთა შორის

ერობა წინად და ახლა.

ამ პირველს წერილში მკითხველს გავაცნობთ რუსეთის ერობას. ყოველ სახელმწიფოს მრავალგვარნი საჭიროებანი შეგვიძლიან ორ უმთავრეს ჯგუფად გავყოთ: ადგილობრივ (საერობო) და საერთო (სახელმწიფო). რასაკვირველია, ყოველ ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილება მასთანავე საერო-სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს: როდესაც რომელსამე სოფელში, ან მაზრაში სკოლა, ან სამკურნალო იმართება, მით ამ სოფლის, თუ მაზრის საჭიროება კმაყოფილდება, მაგრამ საერთო საჭიროებაა, რომ აგეთი სკოლა ან სამკურნალო გაიმართოს არა ერთგან და ორგან, არამედ ყველგან.

ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მცხოვრებლები იხდიან ეგრედ წოდებულს საერობო ბეგარას, საერთო თავისს სახელმწიფო ხარჯს.

ადგილობრივ და სახელმწიფო საჭიროებათა განსაზღვრა რუსეთში პირველად 1808 წელს მოჰხდა. მაშინ გამოცემულმა კანონმა საერობო და სახელმწიფო ბეგრის შესახებ ადგილობრივ (საერობო) საჭიროებათა დაკმაყოფილება მიანდო განსაკუთრებით ადმინისტრაციას; ადგილობრივს საზოგადოებას, თავად-აზნაურობას მისცა მხოლოდ მცირედი, უფრო ნომინალური უფლება კონტროლისა.

ასეთს წეს-წყობილებას ბევრი უწესოება მოჰყვა საერობო საქმეში. 1848 წელს სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა, რომ საერობო ბეგრის სახელით მცხოვრებლები იხდიდნენ $4^1/_2$ მილ. მანეთს ისეთის ხარჯისათვის, რომელიც სრულებით არ ჰქონდა სახეში კანონს და შემოღებული იყო მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ.

1851 წელს გამოცემულ იქმნა ახალი კანონი. ეს ის დრო იყო, როდესაც გატაცებულნი იყვნენ რუსეთის ცხოვრების განსაკუთრებულის თვისებით და გაურბოდნენ ევროპას. საერობო ბეგრის საქმეთა მართვა მიანდვეს: საერობო ბეგრის კომიტეტს და საერობო ბეგრის საკრებულოს (პრისუტსტვიე). კომიტეტში მოჰყვნენ: გუბერნატორი, საგუბ. და სამაზრო მარშლები, დეპუტატები, თავად-აზნაურობისა, სახაზინო პალატის უფროსი, მმართველი სახელმწიფო ქონებათა, ქალაქის მოურავი და სხვა ქალაქების დეპუტატები. კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო იყო საკრებულო, რომელშიაც ზემოხსენებულნი კაცნივე იყვნენ, გარდა სამაზრო მარშლებისა და თავად-აზნაურობის და ქალაქების დეპუტატებისა. კომიტეტი ადგენდა ხარჯთ-აღრიცხვას და წარუდგენდა უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად. ანგარიშს აწარმოებდა სახაზინო პალატა, ფულს ჰხარჯავდა გუბერნატორი, სხვა-და-სხვა დაწესებულებანი — სამხედრო უწყება, გზათა უწყება და სხ.

თავად-აზნაურობის კრებას მინიჭებული ჰქონდა უფლება კონტროლისა უწინდებურად, მაგრამ ეგ კონტროლი მხოლოდ სახელი იყო, ცარიელი ფორმა — ხელის მოწერით განისაზღვრებოდა, რომ ყოველივე თავისს წეს-რიგზეაო, რაც ნამდვილი არ იყო სრულიად. მაშინდელ საერობო საქმის მდგომარეობის დასახასიათებლად საკმარისია ორიოდე მაგალითი: ერთს გუბერნიაში 20 წელიწადს შეჰქონდათ ხარჯთ-აღრიცხვაში 3—4 ათასი მანეთი გაუქმებულ ფაბრიკის რემონტისათვის; მეორე გუბერნიაში ინიშნებოდა ხარჯი ისეთის ხიდებისათვის, რომლებიც არსად იყო.

დადგა დიდის რეფორმების ხანა. ბატონყმობა მოისპო და წოდებრივი კედლები დაირღვა; საზოგადო ცხოვრებისა და სამსახურისათვის მოუწოდეს ყველას და 1864 წლის 1 იანვრის საერობო დაწესებულებათა რეფორმამ საერობო საქმე გადასცა ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ ამორჩეულს კაცებს.

დაწესდა ორგვარი კრება — საგუბერნიო საერობო და სამაზრო.

სამაზრო კრება წელიწადში ერთხელ იკრიბება და გრძელდება ათს დღეს. კრების აღმასრულებელი ორგანო არის სამაზრო საერობო გამგეობა; ამ გამგეობის წევრთ, რიცხვით 3—6, ირჩევს თვითონ კრება.

საგუბერნიო კრება იკრიბება წელიწადში ერთხელ და გრძელდება 20 დღეს. კრების აღმასრულებელი ორგანოა საგუბერნიო საერობო გამგეობა.

კრებებს თავმჯდომარეობენ თავად-აზნაურთა წინამძღოლნი.

როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო კრებამ შეიძლება აღნიშნულს ვადაზე მეტს ხანს გასტანოს მთავრობის ნება-დართვით.

მაზრის ერობის კრებაში სამ გვარი დეპუტატები არიან: 1) ადგილობრივ მემამულეთა არჩეულნი, 2) ქალაქის საზოგადოების მიერ არჩეულნი და 3) გლეხობის საზოგადოებათაგან ამორჩეულნი. მამულის პატრონთა შორის კენჭის უფლება აქვს, ვისაც მაზრაში საკუთარი მამული მოეპოვება დაკანონებულის სივრცისა (200-800 დეს.), ან სხვა უძრავი ქონება, ან ქარხანა და სხ., ღირებული არა ნაკლებ 15 ათ. მან. (ვისაც ნაკლები ქონება აქვთ, შეუძლიანთ შეერთდნენ ერთის კენჭის მოსაპოებლად. ქალაქის საზოგადოებისაგანს კენჭი ეკუთვნის იმას, ვისაც სავაჭრო მოწმობა აქვს, ან ქარხანა, ფაბრიკა ქალაქ ადგილას და სხვ., ან ვისაც აქვს ქალაქში უძრავი ქონება განსაზღვრულის ღირებულობისა. როგორც მემამულენი, ისე ქალაქის საზოგადოება იკრიბებიან თავ-თავიანთ ყრილობად და ამ ყრილობაზედ ირჩევენ საერობო კრების წევრს-დეპუტატებს. სოფლის დეპუტატებს-კი ირჩევენ სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი საერთო ყრილობაზე. —

საგუბერნიო ერობის კრების წევრთ ირჩევენ სამაზრო კრებანი.

როგორც ზემოდ ვსთქვით, გამგეობის წევრთ ირჩევს კრება, ხოლო ამტკიცებს საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარეს შინაგან საქმეთა მინისტრი, საგუბერნიო გამგეობის წევრთ და სამაზრო გამგეობის თავმჯდომარეს და წევრთ-კი გუბერნატორი. თუ მთავრობამ არ დაამტკიცა კრების ამორჩეული კაცი, ინიშნება ხელ-ახალი არჩევნები, ვიდრე არ იქნება ამორჩეული ისეთი კაცი, რომელსაც მთავრობა დაამტკიცებს.

ყოველგვარ არჩევანის შესახებ შეტანილ საჩივრის განხილვა თვითონ კრებას მოვალეობა.

გამგეობის თავმჯდომარისა და წევრთა გადაყენება და სამართალში მიცემა რაიმე უკანონობისათვის შეუძლიან მხოლოდ სენატს და ისიც კრების მოხსენებით.

კრების მოქმედება სრულიად თავისუფალია, რასაკვირველია, განსაზღვრულს კანონიერს ნიადაგზედ.

ვინიცობაა, გუბერნატორი წინააღმდეგი ხდა ერობის რომელისამე გარდაწყვეტილების, მან უნდა დაუბრუნოს ერობას მისი გარდაწყვეტილება მეორედ განსახილველად. თუ ერობა ისევ უწინდელ გარდაწყვეტილებას დაადგება, ეს გარდაწყვეტილება შედის ძალაში. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ნება ეძლევა გუბერნატორს საკუთარ პასუხისმგებლობის ქვეშ შეაჩეროს ერობის გარდაწყვეტილება და საქმე წარუდგინოს სენატს. — ამ გვარადვე უნდა მოიქცეს შინაგან საქმეთა მინისტრი

სავეში მიღება, ანუ მაზანდით ხელმძღვანელობა სახიფათოს საბოლოო ფასის დაფასებას მთელი ის დრო მოახმაროს, რა დროსაც კომისია უნდება წევრთა ღვინოების დაფასებასა და, რადგანაც კომისია ამას ანდომებს ორს თვეს, საბოლოო ფასიც ამას უცდის; რომ ჩამოთვლილ მიზეზების გარდა არის კიდევ ერთი, რომელიც ღვინის ყველა პატრონს ახლავს განუშორებლივ, ესე იგი თვისება ყოველის ჩვენგანისა, სხვისას ყოველთვის ჩვენი ვამჯობინოთ. თუნდა ყოველს ამას ყურადღებაც არ მივაქციოთ და დავსთანხმდეთ, რომ დამფასებელ კომისიას ამა თუ იმ წევრის შესახებ შეცდომა მოუვიდა, როგორ გავასწოროთ შეცდომა? შეცდომის გასწორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყველა წევრის ღვინო შენახულია და შედარება შესაძლებელი. ჩვენ კი ღვინოს მომეტებულად მაშინვე ვყიდით, როგორც ჩამოაქვთ ტფილისში. გაყიდულ ღვინოსთან-კი როგორ შევადაროთ? როცა ჩვენი საქმე ისე იქმნება მოწყობილი, რომ დაუძველებლივ ღვინოს აღარ გავყიდით, მაშინ ავიცილებთ მაგვარს შეცდომებსა, მაშინ შეგვეძლება შევასწოროთ ნებსითი და უნებლიეთი შეცდომები. თავ. მ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, რომ ჩემის ღვინის დაფასება შეცდომათ მიმაჩნია, იმიტომ რომ წინა წლებში ჩემი ღვინო 120—170 მან. ნაკლებ არ დაფასებულა და მეორეც, დამფასებელი კომისია ღვინის გადაღების სწორედ მეორე დღეს მოვიდა, როცა ღვინო ჯერ ისევ მღვრიე იყო და თბილი. ახლა, როცა მოვისმინე დაფასების საქმის გარემოება, გთხოვთ, ჩემი საჩივარი უკანვე დამიბრუნოთო.

კრების თავმჯდომარემ თავ. ი. ქობულაშვილმა იკითხა, თუ ვისმე რამ სათქმელი აქვს, კრებას მოახსენოსო. თავ. ალ. რ. ჯავახიშვილმა სთხოვა კრებას დაავალოს გამგეობას, რომ წლიური ანგარიში და თვისი მოხსენებანი კრებამდე ორის კვირით ადრე დაურიგოს ხოლმე წევრებს, რომ დიდი უხერხულობაა კრების წინა დღეს გაიცნოს კაცმა ყოველივე ესო. მაგ. გუშინდელი მოხსენებანი გამგეობისა სატეხნიკო საგნებს შეეხებოდა, როგორიც არის ავტომობილი, კლერტის გასარჩევი მანქანა, პასტერიზატორი; თვით თავმჯდომარე გამგეობისა ჯაჭვ-მუზარადით შეიარაღებული ბრძანდებოდა და პირში ბურთი ჩაჩრა, რადგანაც მოუმზადებელს მომასწროთ. ამასთანავე სთხოვა კრებას, დაავალოს ყველა წევრს, რომ ზოგიერთმა იკადრების კრებაზედ მსჯელობას სავალდებულო ხასიათი მისცეს, რომ საქმეს უფრო დიდი ძალით მოვეკიდოთ, ვიდრე ახლა ექცევიან ზოგიერთნიო.

თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილმა სთხოვა კრებას, დაავალოს გამგეობას საანგარიშო წლიდამ დარჩომილ ღვინოს ის ფასი დაუდვას, როგორც დაფასებულია კომისიისაგან ქირის და სხვა ხარჯის მიმატებით. ბ-ნი მიხეილ აბაკუმის ძე ყერმიშევი დაეთანხმა თავ. ჩოლოყაშვილს და დასძინა, რომ რამდენმამე წევრმა უკმაყოფილება განაცხადა ბაქოს განყოფილების ზარალისათვისაო. ზარალი-კი მაგ მცირე დაფასებისაგან არის წარმომდგარიო.

გამგეობის თავმჯდომარემ ახსნა, რომ მოგების რაოდენობა, სხვათა შორის, დამოკიდებულია დარჩომილ სავაჭრო საქონლის დაფასებაზედ. სხვა მოვაჭრენი ამ შემთხვევაში სხვანაირად იქცევიან. ვისაც უნდა მტერსაც და მოკეთესაც თვალები აუხვიოს, დარჩომილ სავაჭრო საქონელს მეტად აფასებენ, ვიდრე ღირს დაფასების დროსა. ამასთანავე თავისისავე ხელით იმზადებენ სამარეს და, რაც დღეს გასთხრიან, ე. ი. რაც უფრო მეტად დააფასებენ და რაც მეტი ხანი შერჩებათ ეს დაფასება, უფრო მეტს ჩაიყოლებენ სამარეში. ზოგნი დარჩომილ სავაჭრო საქონელს ისე აფასებენ, როგორც უყიდნიათ და კიდევაც აკლებენ ფასსა, თუ მისი მაზანდა დაწეულია, ან აფასებენ ისე, როგორც დაფასების დროს ღირს საქონელი. ჩვენის დაფასების წესი ასეთია: თუ ღვინო გვრჩება იმ წლიდამ, როცა დიდი მოსავალი იყო და იაფად ნასყიდი, შემდეგი წელიწადი ისე მოსავლიანი არ არის, ღვინო მეტ ფასშია, ნასყიდობის ფასს ქარასაც ვუმატებთ და ამ ფასით შეგვაქვს ანგარიშში; თუ ღვინო გვრჩება ნაკლებ მოსავლიან წლიდამ, როცა ღვინო ძვირად არის ნასყიდი, შემდეგი, წელიწადი უფრო მოსავლიანია და ღვინო უფრო იაფი, მარტო ნასყიდობის ფასად შეგვაქვს ანგარიშში. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ყველა სხვა სავაჭრო საგნებიდამ, გარდა შეკეთრაის ყველისა, ღვინო გაირჩევა იმითი, რომ სხვა საგნები დაძველებით ღირსებას ჰკარგავენ, ღვინო-კი დაძველებით ღირსებას მატულობს. ცხადია, მაშ, ღვინო, ერთის წლით დაძველებული უნდა მეტი ღირდეს ახალ ღვინოზედ, ორის წლით დაძველებული ერთ წლისაზედ და სხვ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ჯერ-ჯერობით ვისარგებლოთ ღვინის ამ თვისებით, რადგანაც დაძველებულ ღვინოს იმავე ფასად ვყიდით, როგორც ახლობაში ვყიდით იმავე ღვინოს. როცა მოწყობილი სარდაფი გვექნება, მაშინ ღვინის ამ თვისებით შეგვეძლება სარგებლობა. ყველა ამის მიუხედავად ჩვენის საზოგადოების წევრთ შეუძლიანთ მოგება ორ ნაირად მიიღონ: ან ისე, რომ ღვინო მათი იაფად დაფასდეს და მოგება დიდი დარჩეს მათ შორის გასანაწილებლად; ან ისე, რომ მათი ღვინო ღირსეულად დაფასდეს და მოგება ამ ღირებულ ფასით შეიმსონ. ეს წესი უფრო სასარგებლოა, ვიდრე პირველი. ამიტომ ჩვენი წესი ფასის დადებისა უკეთესიც არის სარგებლობითი და მჯიდროც საზოგადოების საქმისათვის.

კრებამ დაადგინა: დაევალოს გამგეობას ორის კვირით ადრე კრების დანიშვნამდე დაურიგოს ხოლმე წევრებს ანგარიში და თვისნი მოხსენებანი, ხოლო დანარჩენი შენიშვნები უყურადღებოდ დასტოვა.

კრებას მოეჰხსენდა, რომ წესდების ძალით გადაუვიდათ გამგეობის წევრს თავ. ბარათაშვილს, სარევიზიო კომისიის წევრს თავ. ვლად. მაყაშვილს და გამგეობის წევრის კანდიდატს ბ-ნ ფერნაძეს. თავ. ბარათაშვილი და თავ. ვლად. მაყაშვილი ერთხმად აირჩია კრებამ იმავე თანამდებობაზედ. გამგეობის წევრის კანდიდატად აირჩია ერთხმად ბ-ნი ი. დიმ. მგალობლიშვილი.

კრებამ მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს თავ. ი. ქობულაშვილს, რომელმაც გამოაცხადა, რომ კრება გათავდაო.

დიდის ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით პატივი სცეს გამგეობის თავმჯდომარეს თავ. სიმონ რევაზის ძეს ჯავახიშვილს.

ნადიკვრელი.

ნინოობა კავკავში.

(წერილი კავკავიდგან).

წელს, სხვა წლებთან შედარებით, კავკაველმა ქართველებმა უფრო კარგად იდღესასწაულეს 14 იანვარი. ამ დღეს მოდის დღეობა აქაური ქართულ ეკკლესიისა, რომელიც აშენებულია ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს სახელობაზედ. ამ განსაკუთრებულის დღესასწაულობის მიზეზი იყო, სხვათა შორის, უფრო ის გარემოება, რომ იმ დღეს ქართულს ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყველას მიერ პატივცემული და საყვარელი მღვდელმთავარი ვლადიმირი, ეპისკოპოსი ვლადიკავკაზისა და მოზდოკისა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე ორშაბათი იყო, როცა სხვა ეროვნების ხალხი არ უქმობს და მასთან არც ბევრს ქართველს მიაჩნია ეს ღირს-სახსოვარი დღე დღესასწაულად, ქართულის სკოლის ეკკლესიაში იმ დღეს თავი მოეყარა აუარებელს ქართველობას: აქ იპოვიდით თერგის ოლქის სხვა და სხვა კუთხიდგან ჩამოსულ ქართველებსაც იმ განზრახვით, რომ ამ დღეს მოესმინათ წირვა-ლოცვა თავიანთ ეკკლესიაში.

წირვაზედ ყ.-დ.-სამღვდელო ეპისკოპოსი ვლადიმირი უმეტესად ქართულს ენაზედ ამბობდა ასამაღლებლებს. გალობდა სკოლის ხორო, მოწაფეთაგან შედგენილი, ქართულად და თვით მღვდელ-მთავრის ხორო რუსულად. წირვის შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძნობიერი და დღის შესაფერისი ქადაგება და დიდის ქებით და დიდებით მოიხსენია ქართველი ერი, როგორც უწარჩინებულესი მმოსავი ქრისტეს სარწმუნოებისა. ქართველმა ერმაო, ბრძანა ღვდელ-მთავარმა, მიუხედავად ათასგვარის ჭირ-ვარამისა, რომელიც მიაყენეს ქრისტეს მტრებმა, თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში არც ერთხელ არ უღალატა მამა-პაპათაგან ნაანდერძევს რჯულს, დანერგილს მათ შორის წმ. მოციქულთა სწორის ქართველთა განმანათლებელის ნინოს მიერ და დღემდის ხელუხლებლად შეუნახა შთამომავლობას ენა, სარწმუნოება და ეროვნებაო, რომელიც ქვა-კუთხედია ყოველის ერის ბედნიერებისათვისაო. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

ეკკლესიიდგან მათი მეუფება ეპისკოპოსი ვლადიმირი, თერგის ოლქის უფროსი, ქალაქის მოურავი, სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორი, პოლიციის უფროსი და ბევრი საპატიო კაცი კავკავის ქართველობამ მიიწვია სკოლის დარბაზში ჩაიზედ და სადილზედ, რომელმაც საღამომდის გასტანა. სადილზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. მისმა მეუფებამ დიდის ქებით მოიხსენია საზოგადოდ ქართველ ერის გულახდილობა, სტუმართ-მოყვარეობა და კეთილი თვისებანი, რომელნიც ქართველ ხალხს ხდის საპატიო ხალხად სხვა განათლებულ ერთა შორისო. საზოგადოდ სტუმრები დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ.

იმ დღეს ყველა ქართველი მოწაფენი, რომელნიც სწავლობენ აქაურს სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, განთავისუფლებულ იქმნენ სწავლისაგან.

საღამოს, სკოლის დარბაზში, ყოფილისა და სკოლის ეხლანდელ მოწაფეთათვის გამართულ იქმნა შობის ხე—განსაკუთრებულის პროგრამით. ყველა მოწაფეებმა იმ დღეს დიდი სიამოვნება ნახეს, როგორც შობის ხის გამართვით, ეგრეთვე ბუნდოვან სურათების ნახვით. დასასრულ ბავშვებს დაურიგდათ ხილეულობა.

რუსეთი

—ძველის აღთქმის საღმრთო წიგნები, მალოროსიულს ენაზედ გადათარგმნილი და სამეცნიერო აკადემიის მიერ განხილული, სინოდს მოუწონებია.

— რუსეთიდგან „ცოცხალი საქონელი“ ამ ბოლოს დროს იაპონიასა და ინდოეთშიაც იგზავნება თურმე. ამ საზიზღარის ვაჭრობის მხვერპლნი უფრო დასავლეთ გუბერნიებიდგან არიან.

— ციმბირის ქალაქის ხაბაროვსკის მკურნალთა კრებას, სხვათა შორის, ბჭობა ჰქონია იმის შესახებ, რომ რუსეთიდგან გადმოსახლებულები ავრცელებენ აქ გადამდებ ავადმყოფობასაო და გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მიღებულ იქმნეს საჭირო ღონისძიებანი ამ სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ.

— მკითხველებმა უწყიან ალბად, რომ პეტერბურგში იბეჭდება ერთი საახნაურო გაზეთი, სახელად „გრაჟდანინ“; ამ გაზეთის გამომცემელია თავადი მეშჩერსკი. წარსულს კვირაში თავადს სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წელიწადი შეუსრულდა და ამ შემთხვევისა გამო ცირკულიარული წერილები გაუგზავნა თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, რომ 30 წლის განმავლობაში თავ-გამოდებით ვემსახურებოდი თავად-აზნაურობის ინტერესებსაო. ბევრმა წინამძღოლმა იუცხოვა მეშჩერსკის ასეთი წერილი და ზოგიერთებმა წერილები-კი დაბეჭდეს გაზეთებში მეშჩერსკის საწინააღმდეგოდ, რომ იგი სრულებით არ ემსახურებოდა თავად-აზნაურობას, პირიქით, მისი დაუძინებელი მტერი იყო, წოდებათა დაახლოვების მაგიერ, იგი მათ შორის მტრობას თესავდა, ძირს უთხრიდა ერობას, სადაც წოდებათა ერთობა შესაძლებელიაო.

— მკურნალთა კრებას მოსკოვში გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მოსპობილ იქმნეს გლეხთა დასჯა „როზგით“.

უცხოეთი

ინგლისი. სოცარი გავლენა და სახელი მოიპოვა ამ ბოლოს დროს „ირლანდიის შეერთებულმა ლიგამ“. „Patrie“-ს დუბლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ ამ ლიგის გაძლიერებამა და გავლენამ დიდად დააფიქრა და დააღონა მთავრობაო. ბრძოლა ირლანდიელ პატრიოტთა და ინგლისის მთავრობის შორის მით უფრო საგულისხმო და საგრძნობელია, რომ ლიგას მხარს უჭერენ ამერიკისა და ავსტრალიის ირლანდიელნიც, რომელთა შორის არა ერთი და ორი მილიონერია თურმე. მამა-კაცებზედ არა ნაკლებ ირლანდიელი დედაკაცები იბრძვიან. „ირლანდიის დედაკაცთა საზოგადოების“ თავმჯდომარემ მოდჰონმა და მდივანმა, მარიამ კვინმა, გამოსცეს მოწოდება, რომელშიაც ურჩევენ თანამემამულეთ უკმაყოფილება განაცხადონ მეფისა და დედოფლის მომავალ მგზავრობის გამო ირლანდიაში. „ირლანდიის ხალხს,—ნათქვამია მოწოდებაში,—ბევრი მიზეზი და საბაბი აქვს აღტაცებით არ მიეგებოს მეფე ედუარდს და სასურველად არა სცნოს იმისი მგზავრობა ირლანდიაში. ინგლისის მეფის მიღება ირლანდიაში და აღტაცებით დახვედრა ჰნიშნავს სამშობლო ქვეყნის დამჩაგვრელთა მიღებასა და პატივის ცემას. თუ ამ რიგად მოვიქეცით, დავკარგავთ საზღვარ-გარეთ მეგობართა პატივის ცემას, დავკარგავთ იმ მეგობრებს, რომელნიც საფრანგეთისა და ამერიკის რესპუბლიკებში მოვიპოვეთ. ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი ჩვენს აღტაცებას თავისს სასარგებლოდ და სახეიროდ გამოიყენებს. ირლანდიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის მხდალნი და მოღალატენი, რომელთაც აღტაცებით მიიღეს დედოფალი ვიქტორია და ამით შეურაცხჰყვეს ირლანდიის სატახტო ქალაქი, განდევნილ იქმნენ კორპორაციიდგან“. დასასრულ საზოგადოება ურჩევს დუბლინელ დედაკაცებს მეტი მხნეობა და მეცადინეობა გამოიჩინონ და დაიცვან ირლანდიის სატახტო ქალაქის სახელი და დიდება.

გერმანია. სკოლებს გარდა პოლონურის ენის შევიწროვებას გერმანელნი ეკლესიაშიაც შეუდგნენ. ბევრგან მოხელეებმა აკრძალეს წირვა-ლოცვა პოლონურს ენაზედ. ამის გამო პოლონელებს რომის პაპისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ უბრძანოს მღვდლებს, რომ წირვა-ლოცვა ეკლესიებში პოლონურს ენაზედ სწარმოებდეს. გერმანელები თუ მოსვენებას არ აძლევენ პოლონელებს, არც ეს უკანასკნელნი არიან გულ-ხელ დაკრეფილნი. „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო,“ სწორედ ზედ გამოჭრილია გერმანელ პოლონელებზედ. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს პოლონელებმა გერმანიის წარმოებას. აღარც ერთი პოლონელი აღარა ყიდულობს გერმანულ საქონელს; პოზნანსა, გალიციასა და რუსეთის პოლონეთში აღარც ერთი ფირმა აღარ იწერს საქონელს გერმანელთა ქარხნებისაგან. ამ გვარი ერთობა ისეთ მტკიცე ხასიათის ერს შეუძლიან მხოლოდ, როგორიც პოლონელთა ერია. დღემდის ვარშავისა და მთლად რუსეთის პოლონეთის ვაჭართ სავაჭრო საქონელი, განსაკუთრებით რკინეულობა, გერმანიიდგან მოჰქონდათ. ეხლა გარდაუწყვეტიათ, მოსპონ ყოველივე კავშირი გერმანელებთან და საქონელი სხვა სახელმწიფოებიდგან შემოიტანონ. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, პირველ იანვრიდგან უკვე შემცირებულა გერმანიიდგან შემოტანილ საქონლის რაოდენობა. შარშან მარტო ვარშავის დამოჯნაში ყოველდღე შემოჰქონდათ საზღვარ-გარეთიდგან 42 ვაგონი საქონელი. აქედგან ავსტრიის საქონელი იყო 3 ვაგონი, ინგლისისა—2, საფრანგეთისა—1, ამერიკისა—3, დანარჩენი 31 გერმანიის საქონელი იყო. მარტო საბაჟო

როდესაც იგი არ ეთანხმება რაშიმე ერობას.

ერობის მოვალეობაა: ხალხის დაცვა სიმშილისაგან, ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობისათვის, გადაწვის წინააღმდეგ საშუალებათა გამოძებნა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სახალხო განათლების გავრცელება, ღონისძიებათა მიღება საქონლის ჭირის მოსასპობად, შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობის წინაშე ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ და სხ. და სხ.

ამისათვის ერობა ჰმართავს საზოგადო პურის მაღაზიებს, ეხმარება სიმშილის დროს ხალხს პურით, ფულით და სამუშაოს შოვნით, უმჯობესებს მიწის შემუშავებას სამეურნეო ცოდნისა და საუკეთესო იარაღის გავრცელებით, ჰმართავს გამოფენებს, აკეთებს გზებს, ადვილებს საქონლის გატანას ბაზარზე; ჰმართავს სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ჰბეჭდავს წიგნებს; ჰმართავს თავ-შესაფართ, სამკურნალოებს, იწვევს ჯამაგირით ექიმებს, ფერშლებს, რომლებიც უფულოდ ჰკურნავენ მსურველებს, აქვს აფთიაქები, საიდგანაც ღარიბებს მუქთად შეუძლიანთ წაიღონ წამალი; აარსებს სხვა-და-სხვა ბანკებს, იღებს რკინის გზის კონცესიებს, ეხმარება ფულიანს კაცებს გარანტიის მიცემით რკინის გზის გაყვანის საქმეში და სხ.

მრავალია საშუალებანი, რომლითაც ერობას უფლება ეძლევა განაკარგოს და აღორძინოს მცხოვრებთა ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობა. თითქმის 40 წლის არსებობა ერობისა ყველასათვის ცხად-ჰყოფს, თუ როგორ გაამართლა რუსეთის საუკეთესო კაცთა ნდობა ერობამ და რა დიდი ადგილი დაიჭირა მან ცხოვრების განვითარებაში... მაგრამ ჩვენ ამ საგნის განხილვა არა გვაქვს დღეს აზრად.

ასეთი იყო ერობა 1890 წლის 12 ივნისამდე, როდესაც ღრმად შეიცვალა მისი ორგანიზაცია. საყურადღებოა, რომ ერობის შეცვლა მის მომხრეებს პირველად სხვა აზრით უნდოდათ, უნდოდათ მისი განვითარება; ამისთვის იქმნა დაარსებული ცალკე კომისია, რომლის მოქმედებამაც სულ სხვა მიმართულება მიიღო.

კომპეტენცია ერობისა ისევ წინანდელი დარჩა: სახალხო განათლება და მედიცინა, ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, ზრუნვა ღარიბებისათვის, სიმშილობის დროს დახმარება და სხ. მხოლოდ ჩამოერთვა ეკკლესიების აშენებისათვის ზრუნვა, რამაც გაათავისუფლა ერობა მრავალი საყვედურისაგან, თითქოს იგი განგებ არ აქცევდა ყურადღებას ეკკლესიების საქმეს.

წინად კრებაში მონაწილეობდნენ საერობო ხარჯის გარდამხდელთა სხვა-და-სხვა ჯგუფების წარმომადგენელნი, ახალის კანონის ძალით-კი კრების წევრნი არიან დღეს წოდებათა წარმომადგენელნი; წინად ჯგუფნი გათანასწორებულნი იყვნენ, ეხლა-კი უპირატესობა მიეცა თავად-აზნაურობას. მაგ. უწინ პსკოვის გუბერნიაში 255 სამაზრო ხმოსანი (წევრი) იყო, მათ რიცხვში მემამულეთაგან 123 ხმა, ქალაქებისაგან 33, სოფლის საზოგადოებათაგან 99; ორლოვის გუბერნიაში სულ 538 ხმოსანი იყო; მათში მემამულეთაგან 263; ქალაქ. 68, სოფ. საზ.—207. ახალის კანონით-კი პსკოვის გუბერ. სულ 249 ხმოსანია, თავ.-აზნაურთაგან 146, მემამულეთაგან—არა თ.-აზნ. 30, სოფლ. საზ. 73; ორლოვის გუბ. სულ 390 ხმოსანია; მათში თავ.-აზნ. 229, მემამ. არა თ.-აზნ. 45, სოფლ. საზ. 116. შევნიშნავთ აქვე იმასაც, რომ წინად მემამულეთა ჯგუფს ეკუთვნოდა ყველა მემამულე განურჩევლად წოდებისა და აგრეთვე დიდის სამრეწველო და სამეურნეო სახლების პატრონები.

საგუბერნიო საერობო კრებაში თავად-აზნაურობას უპირატესობა ეძლევა არამც თუ იმით, რომ კრების წევრთ ირჩევენ სამაზრო კრებანი, სადაც უმრავლესობას თავად-აზნაურნი შეადგენენ, კიდევ იმით, რომ სამაზრო მარშლები eo ipso არიან წევრნი საგუბერნიო საერობო კრებისანნი.

კრებაში არ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ სავაჭრო და სამრეწველო სახლების მეპატრონეთ და აგრეთვე გლეხებს, რომლებსაც აქვთ კერძო უძრავი ქონება და არიან მიწერილნი ადგილობრივ სოფლის საზოგადოებაზე (ეს გლეხები ამ გვარად სრულიად გარეშე რჩებიან, რადგან ფაქტიურად მათ „თავის“ სოფლის საზოგადოებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ).

არჩევნების წესი თავად-აზნაურთა და ქალაქის საზოგადოებისათვის ძველებური დარჩა, გლეხობისათვის-კი ღრმად შეიცვალა. ეხლა ყოველივე სოფლის საზოგადოება (ვოლოსტი) ირჩევს 1—2 წარმომადგენელს და ამ გვარად ამორჩეულ კაცებისაგან გუბერნატორი ჰნიშნავს საჭირო რიცხვს ერობის წევრებისას (ლუგის მაზრაში 25 ვოლოსტია და ერობაში-კი მათ მხოლოდ 9 წარმომადგენელი ჰყავთ).

არჩევნებზე საჩივრის განხილვა ეხლა ეკუთვნის გუბერნიის საერობო საქმეთა საკრებულოს. ეს ახალის კანონის შექმნილი დაწესებულებაა; საკრებულოში არიან: გუბერნატორი, ვიცე-გუბ., სახაზინო პალატის უფროსი, ოლქის სასამართლოს პროკურორი, საგუბერნიო მარშალი, თავმჯდომარე გუბერნიის საერობო გამგეობისა და ერთი ამ გამგეობისავე ხმოსანი. საკრებულო თვალ-ყურს ადევნებს ერობას და იხილავს მისს გარდაწყვეტილებას, რამდენად იგი კანონიერია და საგნის შესაფერისი.

კანონით ერობის დადგენილება შეიძლება იყოს სამგვარი: 1) ისეთი, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი, 2) რომელსაც ამტკიცებს გუბერნატორი და 3) დანარჩენნი. რადგან ნამდვილად დანარჩენნიც უნდა წარედგინოს გუბერნატორს, იგი არ ამტკიცებს, თუ დადგენილებანი არ ეთანხმება კანონს, ან ადგილობრივს, თუ სახელმწიფო საჭიროებას.

გამგეობის თავმჯდომარის და წევრთა დამტკიცება იმგვარადვეა, როგორც წინად, მხოლოდ ეხლა, თუ მეორედ არჩეული კაცი არ იქმნა დამტკიცებული, მაშინ მთავრობა თვითონ ჰნიშნავს თავმჯდომარეს თუ წევრს. გარდა ამისა, რადგან გამგეობის თავმჯდომარეთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიანიჭა ახალმა კანონმა, ეს ადგილი მხოლოდ იმას შეუძლიან დაიჭიროს, ვისაც სახელმწიფო სამსახურის უფლება აქვს. ყველგან ვერ შოულობენ ასეთ კაცებს, და ამიტომ მთავრობას ნება ეძლევა თავის მხრით დანიშნოს ერობის გამგეობის თავმჯდომარენი.

გამგეობის თავმჯდომარეთა და წევრთა სამსახურიდგან გადაყენების უფლება ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს; სამართალში შეუძლიან მისცეს სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე და საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარე და წევრნი მინისტრს, სამაზრო გამგეობის წევრნი საგუბერნიო საკრებულოს.

ასეთია 1890 წ. 12 ივნისის კანონის მიერ შემოღებული ცვლილება: თავად-აზნაურობის გაუპირატესება ერობაში და ერობის თვითმოქმედების შეზღუდვა ადმინისტრაციის კონტროლის გაძლიერებით.

სწორედ ათის წლის შემდეგ 1900 წ. 12 ივნისს გამოიცა კიდევ ახალი კანონი ერობის შესახებ, რომელიც არის განვითარება და განგრძობა 1890 წ. კანონისა. ამ კანონმა სიმშილობის დროს ხალხის უზრუნველყოფა მიანდო უმთავრესად შინ. საქ. სამინისტროს და ჩამოართვა ერობას საამისო საშუალებანი, რომელიც დღემდის მას ებარა, და აუკრძალა ერობას უძრავ ქონებაზე გარდასახადის ყოველწლივ $3^0/_0$-ზე მეტის მომატება (ერობის შემოსავალი უმთავრესად ეს გარდასახადია *). თუ მოინდომებს $3^0/_0$-ზე მეტის მომატებას, მაშინ ერობის ხარჯთ-აღრიცხვა უნდა დაამტკიცოს მთავრობამ--საგუბ. საკრებულომ, გუბერნატორმა, შინაგან საქ. და ფინანსთა მინისტრებმა, რომელთაც შეუძლიანთ გამორიცხონ ესა თუ ის მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა...

უადგილობისა გამო ვერ მოგვყავს ერობისათვის შარშან და შარშან-წინ გამოცემულ ცირკულიარების შინაარსი; ეს ცირკულიარები ხელს უწყობს კანონმდებლობის დღევანდელ ტენდენციის განმტკიცებას ერობაში; ზოგი მათგანი პირდაპირ ავალებს ერობას ამა და იმ საგნის განხილვას, ამა და იმ საქმის გაკეთებას...

ერობის შინაურ ცხოვრების შესახებ სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

სატუგა.

*) ხარკოვის ერობაში 1895 წ. მამულების გარდასახადი იყო 72,8% ერობის მთელის შემოსავლისა, უძრავ ქონებისა 18,5 და სავაჭრო მოწმობათა 8,7.

საერთოდ დღემდის ერობის ბიუჯეტი მატულობდა წელიწადში 5%.

გარდასახადი გერმანიამ შარშან 10 მილიონი მანეთი გაიღო. პირველ იანვრიდგან-კი სულ სხვასა ვხედავთ: თან-და-თან მცირდება იმ ვაგონების რიცხვი, რომლითაც გერმანიის საქონელი შემოაქვთ, და მრავლდება სხვა სახელმწიფოს საქონლით დატვირთული ვაგონები. ავსტრიიდგან, მაგალითად, ეხლა ყოველ დღე ცხრა-ცხრა ვაგონი შემოდის, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე შარშან შემოდიოდა.

სამხრეთ-აფრიკის ომი. ახალგაზრდა შეპერსის სიკვდილით დასჯამ მთელი ევროპა და ამერიკა აალელვა. მართლაცა და კიტჩენერი მეტად ველურად, უსამართლოდ და უდიერად მოექცა ახალგაზრდა გმირს: სიკვდილით დასაჯა თავისი მოწინააღმდეგე მეომარი, რომელიც სამშობლოს იცავდა, ისე, როგორც კიტჩენერი ინგლისს იცავს. ამ პოლიტიკას თუ დაადგნენ, ინგლისელებმა სიკვდილით უნდა დასაჯონ, როდესაც ხელთ ჩაიგდებენ, კრიუგერი, შტეინი, ბოტა და სხვანი. მით უფრო გასაკიცხია კიტჩენერის საქციელი, რომ შეპერსი მძიმე ავადმყოფი იყო და სიარული აღარ შეეძლო. ტრანსვაალის ელჩს ამის გამო სახელმწიფოების წინაშე პროტესტი გამოუცხადებია. შეიძლება, უთქვამს ლეიდსს, ამიერიდგან ბოტა და დევეტი ისე მოექცნენ ინგლისელს ოფიცრებს, როგორც კიტჩენერი 23 წლის მამაცს შეპერსს მოექცაო. საზოგადოდ კიტჩენერმა ვერაგობით და სასტიკობით ამ ბოლო დროს ძალიან გაითქვა სახელი. აი, რასა სწერენ „Kön. H. Ztg"-ს სამხრეთ-აფრიკიდგან: „ამას წინად კიტჩენერი მადდელბურგში იყო იმ ბანაკების დასათვალიერებლად, სადაც ბურთა დედაკაცები და ბავშვები არიან დამწყვდეულნი. მთავარ-სარდალმა მოსთხოვა დედაკაცებს—ძალა დაატანონ თავიანთს ქმრებს და ომზედ ხელი აალებინონ. ვინც იარაღს აიხსნის,—სთქვა კიტჩენერმა,—იმას აღარ გავდევნით და ქონებასაც აღარ ჩამოვართმევთ. დამორჩილებულთ შემწეობას აღმოვუჩენთო". რათა ბურებს იარაღი დააყრევინონ, ინგლისელნი შიმშილით ხოცავენ ამ ბანაკებში დამწყვდეულ უმწეო დედაკაცებსა და ბავშვებს. „Corresp. Ned."-ში დაბეჭდილია წერილი განსვენებულ გენერლის ჟუბერის ქვრივისა. სხვათა შორის, მოხუცი დედაკაცი სწერს: „დღემდის არც ერთ კაცს არ უშვებდნენ ინგლისელები ბავშვთა და დედაკაცთა ბანაკებში. ამას წინად, ბევრის ვაივაგლახისა და მეცადინეობის შემდეგ, მხოლოდ მე მოვახერხე შესვლა ერთს ბანაკში. თავზარი დამცა იმან, რაც იქა ვნახე. დედაკაცებისა და ბავშვების ტანჯვა აუწერელია. შიმშილი და სხვა-და-სხვა სენი ყოველ დღე აუარებელ ბავშვსა და დედაკაცს ისტუმრებს საიქიოს. თუ ომმა ერთს წელიწადს კიდევ გასტანა, ტრანსვაალში აღარ იქნება აღარც დედაკაცი და აღარც ბავშვი. მთელმა ქვეყანამ იცის ეს საზარელი ამბები, მაგრამ გამოსარჩლებას, ხმის ამოღებას არავინა კისრულობს. ჰობჰაუზმა მეხუთედიც არ გადმოგცათ იმისა, რაც ბავშვთა და დედაკაცთა ბანაკებში ხდება. როდესაც ეს პატიოსანი მანდილოსანი იყო აქ, ბანაკებში ჯერ არ შემოეღოთ შიმშილით ამოწყვეტის სისტემა. ყველა ამან უფრო გაამწარა ბურები. ჩვენი მეომარნი არასოდეს არ იბრძოდნენ ისე მედგრად და თავ-გამოდებით, როგორც ეხლა. ბრძოლას ბოლო მხოლოდ მაშინ მოეღება, როდესაც ბურები, დიდიან-პატარიანად, ამოსწყდებიან. ფერმებს უწინდელებრ სწვავენ ინგლისელნი. კაფრები ათასობით იბრძვიან ინგლისელთა რაზმებში".

— როგორც რუსულ გაზეთებს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ, კიტჩენერს ბურების წინამძღოლებთან ხელ-ახლა ჩამოუგდია ლაპარაკი ზავის შესახებ. ბურებს უთქვამთ, ბრძოლას მაშინ გავანებებთ თავს, როდესაც ტრანსვაალსა და ორანჟეს სრულს თავისუფლებას მიანიჭებთო. ვიდრე ერთი მეომარი კიდევ მეყოლება, შეუთვლია კიტჩენერისთვის დელარეის, ბრძოლაზედ ხელს არ ავიღებ. თუ დავმორჩილდები, არავითარ პირობას არ მოვითხოვ, რადგანაც, სულ ერთია, ინგლისელნი სიტყვას არ შეასრულებენო.

შვეიცარია. შვეიცარიის დედათა საზოგადოებანი ინგლის-ტრანსვაალის ომის დაწყებიდგან აქამომდე მარჯვე შემთხვევას არ უშვებენ, რომ ბურებს თავიანთი თანაგრძნობა არ გამოუცხადონ. დროგამოშვებით ეს საზოგადოებანი ღია წერილებს ჰგზავნიან ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეში და პროტესტს აცხადებენ სასტიკ ომის წინააღმდეგ. შობის დღესასწაულების დროს შვეიცარიელ დედაკაცებს ინგლისელ და ირლანდიელ დედაკაცებისათვისაც მიუმართავთ. შვეიცარიელი მანდილოსანნი დიდს მწუხარებას აცხადებენ სამხრეთ-აფრიკის დაუსრულებელ ომის გამო და ურჩევენ ინგლისელს დედაკაცებს ხმა ამოიღონ ჩაგრულთა სასარგებლოდ და ბოლო მოუღონ უსარგებლო სისხლის ღვრას. ამ წერილზედ 43,615 შვეიცარიელს მანდილოსანს უწერია ხელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ყველასაგან დავიწყებულს და ღარიბ-ღატაკს ჩვენს სკოლასაც გამოუჩნდა გულის შემატკივარი, რომელმაც ამ თვის ორს გაახარა ჩემი პატარა მოწაფენი და გული გაუთბო იმათ მშობლებსაც. მე მოგახსენებთ დიდად პატივცემულ კნეინა ნინო ალექსანდრეს ასულს ერისთავზედ (ბრძმათა სკოლის უფროსად ნამყოფია). ამ პატივცემულმა ქალმა მიიღო შრომა, შემოიარა თავისის ფეხით თავისნი ნაცნობნი ვაჭარნი ტფილისში და მოაგროვა „შობის ხისათვის" და მოწაფეთა დასარიგებლად, ვინც რა გაიმეტა, ჩასაცმელები და სათამაშოები.

ორს ამ თვეს, საღამოთი, ხელ-თუბნის სკოლა ისე იყო გატენილი კაცებით, დედაკაცებით და ბალღებით, რომ ნემსის ჩაგდება უჭირდა. ვინც დარბაზში და ტალანში ვერ დატეულიყო, გარედგან ფანჯრებზედ აცოცებულიყვნენ და გაკვირვებით შესცქეროდნენ სათამაშოებით შემკულს და სანთლებით გაბრწყინვალებულს ნაძვის ხეს.

მოწაფეებმა, რიცხვით 45 ქალმა და ვაჟმა, ჯერ იმღერეს „შობის ხის" გარშემო და მერე სათითაოდ ქართული ლექსები სთქვეს ზეპირად, რასაც მშობლები აღტაცებით ეგებებოდნენ. ლექსების თქმის შემდეგ პატივცემულმა კნეინამ დაურიგა ყველა მოწაფეს საკაბე-სახალათეები, ცხვირსახოცები, ხილი და ბიღოს სათამაშოები. ასეთს სიხარულს და აღტაცებას, რასაც ამ დღეს ბალღები ჰგრძნობდნენ, მგონი თავისს დღეში არა ჰქონიათ სწვევია.!

დიდის მადლობის ღირსია პატივცემული კნეინა ნინო, როგორც ჩემგან, მასწავლებლისაგან, რომ ასეთი ზნეობრივი დახმარება გაგვიწია, აგრეთვე მოწაფეთაგანაც, რომელთაც დაუვიწყარი დღესასწაული გაუმართა და ბევრს ტიტველი ტანი შეუმოსა.

პატივცემული კნეინა საკვლაოდაც დაგვპირდა, რომ არ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას და ჩემს მოწაფეებს მერმისაც გაახეღნიერებს „შობის ხის" გამართვით.

ბოლოს მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მადლობა გადავუხადოთ მე და ჩემმა მოწაფეებმა იმათ, ვინც არ დაიშურა და საზოგადო საქმეს სხვა-და-სხვა ნივთები შემოსწირეს „შობის ხისათვის".

კნ. ნატალია ალექსანდრეს ასულს ხერხეულიძეს, მადამ კასილს(შემოსწირა გარუსის ძაფები), პატარა ქალს ნინა ბოგურავას (შეკერილი კაბები), ბ-ნს დარჩუნოვს (სხვა-და-სხვა მატერიები), ბ-ნ კაფიევს (მატერიები). ბ-ნ ვართანოვს (ცხვირსახოცები და მატერიები), ბ-ნ მასნჯაკოვს (შობის ხის მორთულობა და სასწავლო ნივთები). ბ-ნ მანასოვს (ბლომა სათამაშოები), ბ-ნ სუმბათოვს (სათამაშოები) და ძმათა ხარატაშვილებს აღ. და ნიკოლოზს ქ. გორში, რომელთაც შემოგვწირეს ორი ნაძვის ხე და კამფეტეულობა. ყველა ამ პირთ ვუძღვნი უღრმესს მადლობას და პატივისცემას.

რადგან ყველამ არ იცის აქ მოხსენებულთ შორის ქართული, ამიტომ ვთხოვ პატივცემულ რუსულ გაზეთების რედაქციებს, რომელიც შესაძლოდ სცნობს, ეს ჩემი მადლობა გადაბეჭდოს.

ხელთუბნის სკოლის მასწავლებელი

თ. რ.

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო-მაჩხაანის ქსენონის მკურნალს ბ-ნს კონსტანტინე ლაზარეს ძეს ტურიაშვილს, რომელმაც კეთილინება და ჩვენ მიერ მონდობილ ქვემო-მაჩხაანის სეკვლესიო სქოლებო სკოლას შემოსწირა სასწავლო საკითხავი ჟურნალი „ჯეჯილი".

სკოლის გამგე მღვდელი ტუკუშაშვილი.

მასწავლებელი ე. კობაშვიძე.

წვრილი ამბები

ჩიკაგოში ზოლიცაას სასტიკად აღუკრძალავს ქუჩებში პაპიროზისა და სიგარების ნამწვების მოკრება, ხოლო ქარხნებისთვის ნამწვებისაგან იაფ-ფასიან პაპიროსების მომზადება, რადგანაც ამ ნამწვების წყალობით სხვა-და-სხვა სენი და ავადმყოფობა ვრცელდება. როგორც ვიწყით, ევროპასა და ამერიკაში ნამწვების მოკრება ბევრს ხელობად აქვს გარდაქცეული. ნამწვების ქარხნები ყიდულობენ ახალს თამბაქოსა და პაპიროსების ამზადებენ.

* *
*

ბელგიაში ამ ჟამად დიდი ლაპარაკი აქვთ მსოფლიო გამოფენის გამართვის შესახებ. აზრადა აქვთ, მომავალი გამოფენა გამართონ რამდენსამე ქალაქში და არა ერთს ადგილას. ანტვერპენში, მაგალითად, საზღვაო განყოფილება იქმნება, ბრიუსელში—სამხატვრო და სახელოსნო, გენტში—საქსოვი და სამეტალურგო, ბრიუგგეში—ისტორიული და ოსტენდეში—სპორტის განყოფილება.

* *
*

ალჟირში ამას წინად მეტად დიდი თოვლი მოსულა. სოფელ ბუ-საადში ორმოცი სახლი დაქცეულა, ორი კაცი მომკვდარა და ოცამდე დაშავებულა. ქალაქ ელდისშიაც დაქცეულა 18 სახლი. ქუჩებში იმოდენა თოვლი დასდო თურმე, რომ ქვეითად სიარული შეუძლებელი შეიქმნა.

* *
*

„ნორთ ვესტერნ"-ის უნივერსიტეტს, სადაც 70-მდე ქალი სწავლობდა მკურნალობას, დაუდგენია ამიერიდგან აღარ მიიღოს ქალები. „ოც-და თორმეტის წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა,— სწერს ამ უნივერსიტეტის ერთი პროფესორი, ბ-ნი რაიმონდი,—რომ ქალი ვერასოდეს ხეირიანი მკურნალი ვერ შეიქმნება; ქირურგიისა და სალაბორატორიო მუშაობისათვის ხომ ქალები სულ არ ვარგანან. ამის გამო დღეიდგან ქალებს აღარ მივიღებთო".

*
* *

ბევრგან ცხენების საკვებად დღეს შაქარსა ხმარობენ. შაქარი ცხენს ძალიან ამაგრებს და ძალღონეს უმატებს თურმე. არგენტინის მთავარ შტაბს ამას წინად გარდაუწყვეტია, ცხენების საკვებში ყოველ დღე შაქარი გაურიოს ხოლმე. ამ ცდას საუკეთესო ნაყოფი მოუტანია: შესამჩნევად მოღონიერებულან მუშაობისაგან დასუსტებული ცხენები.

*
* *

ბერლინში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ერთის „ინციდენტის" გამო, რომელიც „მეტროპოლის" თეატრში მომხდარა თურმე. ერთს საღამოს ამ თეატრში წარმოდგენაზედ უფეიდან გერმანიაში ცნობილი ბანკირი ბლეიხრედერი და ავსტრიის სამხედრო აგენტი შენბორნ-ბრიუკჰეიმი. ანტრაქტების დროს ბლეიხრედერს ლოჟაში მეფოფთათვის სიგარები დაურიგებია, თვითონ-კი ამოუღია ათას მანეთიანი ბილეთი, დაუგრეხია და ცეცხლი წაუკიდებია. იქვე მყოფი სამხედრო აგენტი ისე აუღელვებია ამას, რომ არც აუღია, არც დაუღია და ლაზათიანი სილა გაურტყამს გაამაყებულ ბანკირისათვის.

დეპეშა

16 იანვარი

პეტერბურგი. იანვრის 15-ს საზამთრო სასახლეში გაიმართა პირველი (წრეული) ბალი მათის იმპერატორებით უდიდებულესობათაგან.

პეკინი. იმპერატორმა და იმპერატრიცამ აუდიენციაზე მიიღეს უცხოეთის ელჩები. იმპერატრიცამ მწუხარებით გაიხსენა, რაც მოხდა და დაიმედა ელჩები მომავლისათვის.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის კომისარიატის მოხელე სოფიაში გაბრიელ-ხაზედ ეფენდი საპოლიტიკო მოსაზრებით დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

ბრიუსელი. გუშინდელ ცნობის შესახებ „პტი ბლე" აცხადებს, რომ ბურების დელეგატებს არავისთვის არ მიუნდვიათ მათ მაგიერ მშვიდობიანობის წინადადებანი წარედგინათ.

ლონდონი. გაზეთები რჩევას იძლევიან, ნუ გაზვიადებთ ბალფურის ნათქვამის მნიშვნელობასაო. „ტაიმსი" ამბობს, რომ ჰოლლანდიის წინადადებას იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც სხვა არა კომპეტენციით მოსილ წინადადებათა ამავე (ბურების) საგნის შესახებაო.

ხარკოვი. მადნის ინჟენერმა ავდოკოვმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა მადნის მრეწველთა საგანგებო კრებაზედ იმის შესახებ, რომ შეიძლება დონის ქვა-ნახშირი გავზიდოთ ბალკანის ნახევარ კუნძულზე, ბოსფორის ნაპირებზე და უფრო შორსაცაო. მოხსენების ავტორი ამტკიცებდა რომ შესაძლებელია ხმელთა შუა ზღვისა და დუნაის ნავთსადგურებიდგან განვაძევოთ ინგლისის ქვა-ნახშირიო.

კიევი. დღეს დილით წყლის მიღის რეზერვის ჭაში აფეთქება მოხდა; დაშავდნენ ინჟენერი და მუშები. აფეთქების მიზეზად შეგროვებულს გაზებს ასახელებენ.

რელსების დაწყობა კიევ-კოველის რკინის გზაზე დაასრულეს დეკემბერში; გზაზედ მატარებლების დროებითი მისვლა-მოსვლა დაიწყება მარტის დამდეგს.

მოსკოვი. გოგოლისა და ჟუკოვსკის ხსოვნის პატივსაცემად ქალაქის გამგეობამ 4,000 მან. გადასდო მათ თხზულებათა მუქთად დასარიგებლად ქალაქის სკოლებში და ლექციების გასამართავად.

17 იანვარი.

პეტერბურგი. შავს ჭირთან მებრძოლი კომისია აცხადებს: ქუთაისის გუბერნატორი იტყობინება, რომ იანვრის 8-ს ავად გახდა და მეორე დღეს მოკვდა ბათომში ერთი ადამიანი ისეთი ავადმყოფობისაგან, რომელიც ეჭვით შავს ჭირსა ემსგავსებოდა. ავადმყოფობის შემჩნევისათანავე სნეული გადაიყვანეს გადამდებ სენით შეპყრობილთათვის აგებულ ადგილობრივ საავადმყოფოს განცალკევებულს განყოფილებაში; ის სახლი, რომელშიაც ავადმყოფი სცხოვრობდა დარაჯებით გარს შემორტყმულია და ისინი-კი, ვისაც ავადმყოფთან რაიმე კავშირი ჰქონდათ, ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. განკარგულება მოახდინეს, რომ საექიმო ზედამხედველობა იქონიონ გემებზე, რაც ისინი ბათომიდგან გადიან, და მაშინაც, როცა ისინი სხვა ნავთსადგურებში შედიან. ათვალიერებენ აგრეთვე იმ მგზავრებსაც, რომელნიც რკინის გზით მიემგზავრებიან ბათუმიდგან. სხვა შემთხვევა შავი ჭირით ავადმყოფობისა ბათომში არ ყოფილა.

მოსკოვი. მოსკოვის განყოფილება ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოებისა ჰმართავს ტიპო-ლიტოგრაფიებში მოსამსახურეთათვის საზოგადო განათლებისა და ტეხნიკურს კურსებს.

ჰააგა. პირველი პალატა. პინაკერ გორდონი ეკითხება მმართველობას შესახებ იმისა, რაც სთქვა ბალფურმა ინგლისის პალატაში ნიდერლანდის მმართებლობისაგან გაგზავნილ ნოტების თაობაზე ბურების საქმის გამო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ბალფურის ნათქვამი მართალია და მეტს ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვით ჩვენის მმართველობის ნოტების შესახებო.

ლონდონი. ნიდერლანდის მმართველობის ნოტის გამო, პალატის დერეფნებში დიდს ყურადღებას იქცევდა; რომ სოლისბერი და ლანსდოუნი პარლამენტის შენობაში გაჩნდნენ და კომისიის სხდომების ოთახში ამხანაგებს ემუსაიფებოდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა.	
5% 1-ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	374 მყიდ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	271 მყიდ.
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88½ გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურც.	89½ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „	
„ კასპიის ამხანაგობისა	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	319 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	147½ წვრ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	319 წვრ. გაყიდ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 დღის 12 ს. 2? წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 17. (წლ.)

როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

Музыкальное депо М. Мириманяна

Тифлисъ. Дворцовая ул.

25—5—17

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ" въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—10)

განცხადება

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა

„ნეფთა" [?]

აუწყებს ბბ-თ პაის პატრონებს, რომ კვირას ამ იანვრის 20-ს, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) მოკლე ანგარიში 1901 წლისა.
2) მოხსენება ვადა-გასულ პაიების შესახებ. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ გამგეობამ გადასწყვიტა მეოთხედ შემოტანა 5%-იანის შესატანისა, ესე იგი 5 მანეთისა თითოეულ პაიზედ დანიშნულია 21 იანვრიდგან 26 იანვრამდე. ფულის შემოტანის დროს ვთხოვთ მოადგინონ ხოლმე პაის კვიტანციები.

2—1.

Дозвол. цензурою. Тифлисъ 17-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისისფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩ. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ჭავჭავაძე [?]